ხუთშაბათი, 14 ივნისი 1907 წ.

41

წელიწადი პირველი — № 127

# ისარი

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

გაზეთ «ისარი»-ს გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ. უკანასკ.—10 კ. ხელის მოწ რა და დასაბეჭდ განცხადებანი მიიღება «ისარი»-ს რედაქციასა და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე და საღამოს 5-დან 7-მდე.
რედაქციისა და კანტორის ადრესი: ელისაბედ. ქ. № 1.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. ცალ-ბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ინახება მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილებით მასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11-დან ნაშუადღევის 3 საათამდე.
თითო ნომერი ყველგან 5 კაპ.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція «ИСАРИ»

## „ისრი"-ს ხელის მომწერთა საყურადღებოდ.

«ისარი»-ს კანტორა აცხადებს იმათ საყურადღებოდ, ვისაც ფული არ შემოუტანია, რომ გაზეთის გზავნა მოესპობათ, თუ დროზე არ შემოიტანენ ხვედრ ფულს. პირველ ივნისიდან გაზეთი მოესპობათ: ტფილისში—ვისაც 3 მ. 50 კ. მეტი არ შემოუტანია, ტფილისს გარედ—ვისაც 4 მანეთი მეტი.

პირველ ივნისიდან წლის დამლევამდე გაზეთი ღირს: ტფილისში—4 მან. 40 კაპ. ტფილისს გარედ—4 მ. 80 კ., საზღვარ-გარედ—7 მან.

ერთი თვით გაზეთი ღირს: ტფილისში 75 კაპ., ტფილისს გარედ—80 კაპ., საზღვარ-გარედ—1 მან. 50 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

ადრესის გამოცვლა ღირს: ტფილისიდან ტფილისს გარედ ერთი მანეთი, სხვა ადგილას—ორი აბაზი.

[stamp] 21/ნ-65

---

თინათინ რევაზის ასული ჯავრიშვილისა, ბარბარე რევაზის ასული ყანჩელი, სოლომონ და ლევან რევაზის ძენი ყანჩელი და ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე ჯავრიშვილი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უდროოდ გარდაცვალებას პირველი ოთხი—ძვირფას დისა, ხოლო მეხუთე—ცოლის დის

**ანნა რევაზის ასული ყანჩელისას.**

გამოსვენება ხუთშაბათს, 14 ივნისს, 11 საათზე, მიხეილის საავადმყოფოდან კუკიის წმ. ნინოს ეკლესიაში. (1—131—1)

---

სოფ. ლანჩხუთში, ოზურგეთის მაზრა, გარდაიცვალა ტფილისის სასულიერო სემინარიის მეორე კლასის მოწაფე

**სიმონ ორაგველიძე,**

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მშობლები განსვენებულისა.

დასაფლავება 14 ივნისს. (1—135—1)

---

მარიამ პორფირის ასული ბერიშვილისა, ეკატერინე თომას ასული პავლიაშვილისა და სოფიო თომას ასული მაჭარაშვილისა შვილებითურთ გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველი—მაზლის, დანარჩენნი—ძმის, მარტყოფის სოფლის საზოგადოების მამასახლისის,

**ნიკოლოზ თომას ძის ბერიშვილისას,**

რომელიც ბოროტ განზრახვილის ხელით მოკლულ იქნა 9 ივნისს, ნაშუადღევის პირველ საათზე.

გამოსვენება ხუთშაბათს, 14 ივნისს, მარტყოფის ეკლესიაში. დაკრძალვა იმავე დღეს იმავე ეკლესიის გალავანში. (1—137—1)

---

12 ივნისს გორში გარდაიცვალა

**ნატალია დიმიტრის ასული გარაყანიძე,**

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მეუღლე განსვენებულისა **კონსტანტინე გარაყანიძე,** ქალი **ქეთევან** და სიძე **პეტრე ყიფიანები.** (1—6.—1)

---

ელისაბედ ალექსანდრეს ასული ხიზანაშვილისა აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ პარასკევს, 15 ივნისს, პეტრე პავლეს სასაფლაოს ეკლესიაში გადახდილი იქნება ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი

**ნიკოლოზ თადეოზის ძის ხიზანაშვილის**

სულის მოსახსენებლად. (2—1)

---

ექიმი
**მ. ს. მუსხელიშვილი**
მიიღებს თვალებით ავად-მყოფებს ყოველ დღე დილით 9—11½. კიროჩნი ქუჩა № 9. (თვ.)

---

ექიმი
**ა. ნ. დიასამიძე**
**განიზა და ვენერიული.** დილით 9—10 ს. საღამოობით 6—8. ყორღანოვის ქუჩა № 14.

---

**ქუთაისში**
ექიმი მაჭავარიანი.
მიიღებს **შინაგან, სიფილისით, ვენერიულ** ავადმყოფებს და **ბავშვებს. ქიმიკო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი** ნახველისა, შარდისა, გონოკოკისა და სხვ. დილით 11—2 საათზე, საღამოთი 6—8 საათზე. სამხედრო საავადმყოფო, შესავალ პატარა ქიშკარიდან. (60—ფოს.—28)

---

კბილის ექიმი
**ალ. სოლოღაშვილი**
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათამდე და 5—7-მდე. გოლოვინის პროსპ. № 12. სახლი მდივნისა. (36)

---

კბილის ექიმი
**ნინო რცხილაძე**
იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი, —7 საათზე. ვერა, ოლგას ქუჩა, № 25. (0—123)

---

ექიმი
**ი. ვაშაკიძე**
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილის 1—2 ს., საღამოობით 5—6 საათ., გარდა კვირა დღეებისა, კიროჩნის და ელისაბედის ქუჩების კუთხეზე, ბარამოვის სახლი, № 92. (წ.-უ—74)

---

**ახალი წიგნი**
წ.-კ. გ. წიგნის მაღაზიაში იყიდება ისტორიული მონოგრაფია
**„აჯანყება კახეთისა"**
**1812 წ.**
**ა. ფრონელისა.**
**ფასი ერთი მანეთი**
იქვე იყიდება **„მთიულეთი 1804 წ."** იმავე ავტორისა. (20—უ.—7)

---



**აევრისამუშაო**

მშრომელ ქალებსა და კაცებს ყოველ დღე 8-დან 4 საათამდე შეუძლიანთ აილონ 1 მ. 50 კ. და მეტიც დღეში, თუ ჩემგან იყიდიან საუცხოვო მსწრაფლ-მქსოვ მაშინებს, რომელთაც საზღვარ-გარედაც დიდი სახელი აქვთ გავარდნილი. ვთხოვ მხოლოდ ყველას, ნუ აურევენ ჩემ მაშინებს სხვა ფირმების მაშინებთან.

ამ მაშინაზე სამუშაოდ წინ და წინვე ცოდნა საჭირო არ არის. მაშინები აქვე გვაქვს. ძაფს მე ვყიდი და დამზადებულ საქონელს ნაღდ ფულად მევე ვყიდულობ აქ. დაწვრილებით ცნობებს სიამოვნებით ვაძლევ ყველას უფასოდ კანტორაში და ვგზავნი ფოსტითაც.

კანტორა მსწრაფლ-მქსოვ მაშინების წარმომადგენლისა კავკასიის და ამიერ-კავკასიისათვის ტფილისში ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. ადრესი: **Тифлисъ, Николаевская улица, № 9.** (50—73.—36)

---

ლამბაშიძის
**სანატორიუმი**
პატარა-ცემში
ქალ-ვაჟთათვის 8—16 წლამდე.
პირობების გასაგებად ფოსტით უნდა მიმართონ, ბორჯომს ექიმ ვ. ლამბაშიძეს. (25—111—13)

---

**იყიდება**
**ძალიან იაფად**
**შეშის საწყობი პ. კურცხალიასი**
შეშით და შენობებით, ანდრეევის ქუჩაზედ, დამოჟნის პირდაპირ. მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ იქვე კანტორაში მმართველს ნ. კიკნაძეს. (4—125—2)

---

## ტფილისი, 14 ივნისი.

აგრარული საკითხი მარტო რუსეთისთვის-კი არ გადაიქცა სადღეისო საჭირბოროტო საქმედ, არამედ დასავლეთ ევროპის ზოგიერთ სახელმწიფოშიაც იმდენად გამწვავდა, რომ მოკლე ხანში ასე თუ ისე უნდა გადაწყდეს პრაქტიკულად. მკითხველთ ახსოვთ, რასაკვირველია, როგორი ამბოხება მოხდა რამდენისამე თვის წინად რუმინიასა და ავსტრო-უნგრეთში სადაც მთავრობათ დიდის სისხლის დაღვრით შეიძლეს ხალხის დამშვიდება. ესეთი „დამშვიდება" დროებითია: სანამ არ მოისპობა თვითო მიზეზი ხალხის გამწარებულ ამბოხებისა, ყოველ წუთს მოსალოდნელია ამბოხების განმეორება, რაც ავსტრიისა და რუმინიის ნახევრად ფეოდალურსა და რეაქციონურს მთავრობასაც-კი ესმით და ამიტომ კიდეც შეუდგნენ აგრარულ საკითხის გამოკვლევასა და რეფორმის პროექტის დამზადებას... ამ ჟამად, როგორც იცით, დიდი ამბები ხდება საფრანგეთშიაც. მთელი სამხრეთი ამ სახელმწიფოსი ზღვასავით ღელავს და თავგანწირულად იბრძვის. მართალია, საფრანგეთის კრიზისი სხვანაირია და არა ჰგავს რუსეთისა ან რუმინიის აგრარულ მოძრაობას, მაგრამ სამხრეთ საფრანგეთის მეღვინე-მევენახე ხალხის გაჭირვებასაც მჭიდრო კავშირი აქვს საზოგადოთ აგრარულ საკითხთან. დასასრულ, აგრარული საკითხი სადღეისო პრობლემად გახდა თვით ინგლისისათვისაც. იქაც (შოტლანდიაში) უკანასკნელ წელს ხალხი, მოთმინებიდან გამოსული, ამბოხებით და იარაღით აპირებს მიწაზე თავისუფლების აღდგენას.

ამგვარად, მიწის საკითხი ყველგან მწვავდება და უპირატეს ყურადღებას მოითხოვს. დიად სოციალურ პრობლემიდან ეს საკითხი თავის თავად გამოიყო, განცალკევდა და დღესვე პრაქტიკულ გადაწყვეტას თხოულობს. დიდათ საინტერესოა ამიტომ, როგორ ეგებებიან ევროპის ფეოდალობა და მთავრობანი შიშის ზარ დამცემ ამ საკითხს...

ჩვენ ვიცით უკვე, როგორ დახვდა აგრარულ მოძრაობას რუსეთის მიწათმფლობელთა კლასი და რუსეთის მთავრობა. ესენი წინააღუდგნენ ისეთს ზომიერს რეფორმასაც-კი, როგორიც არის კადეტების ფრაქციის პროექტი; რუსეთის ფეოდალობა წინააღუდგა იძულებით **გამოსყიდვასაც**-კი და მხოლოდ სახელმწიფო საგლეხო ბანკის საექვო ოპერაციებით ჰფიქრობს აგრარულ საქმის გადაწყვეტას. როგორცა სჩანს, რუმინიისა და ავსტრო-უნგრეთის ფეოდალ-რეაქციონური წრეებიც სიხარულით მიჰბაძვენ რუსის თავად-აზნაურობას და პალიატივებით ცდიან საჭირ-ბოროტო საკითხის თავიდან მოშორებას. სხვა გზას ადგება ბრძენი და წინდახედული ინგლისი. ამ ქვეყნის „მმართველ წრეებს" არა ერთხელ თავის გრძელსა და ბრწყინვალე ისტორიულს ცხოვრებაში წინდაწინვე უგრძვნიათ, რომ კატასტროფა მოსალოდნელია, თუ დროზე დათმობის გზას არ დაადგებიან. ამგვარის გამჭრიახე პოლიტიკით ინგლისის არისტოკრატიასაც და მთავრობასაც ბევრჯელ აუცდენია თავიდან ხალხის საშინელი რისხვა და შურის ძიება, ხალხსაც მოუგია ფართო დემოკრატიული რეფორმები... ახლაც ამასვე ვხედავთ. ინგლისის ლიბერალურმა სამინისტრომ განიზრახა აგრარული ფართო რეფორმა და იქაური „უმდიმდრესი და უძლიერესი" ლენდლორთა კლასსი მზათაა მხარი დაუჭიროს მთავრობას, ოღონდ მწვავე საკითხის გადასაწყვეტად მარჯვე კომპრომისი მოიძებნოსო. ფრიად საინტერესოა ინგლისის მთავრობის ახალი აგრარული პროექტი და შემდეგში ჩვენ დაწვრილებით გავაცნობთ მას მკითხველთ ახლა კი აღვნიშნავთ მხოლოდ მის ძირითად ხასიათს. პროექტს საფუძვლად უდევს სწორედ ის იძულებითი ჩამორთმევა მიწებისა, რომელიც ასე აითვალისწუნა და შეიძულა რუსეთის ბიუროკრატიამ. ინგლისის ლიბერალურ პარტიის განზრახვაა დააკანონოს იძულებითი ჩამორთმევა მიწებისა ლენდლორდებისაგან, რომელთაც „სამართლიანის დაფასებით" სასყიდელი უნდა მისცეს ხაზინამ და აგრეთვე ადგილობრივმა თვითმართველობამ. შემდეგ, ეს გამოსყიდული მიწები გადაეცემა ადგილობრივ თვითმართველობის დაწესებულებათ, რომელნიც ხანგრძლივ სარგებლობისათვის გადასცემენ ხოლმე განსაზღვრულ ზომის მიწებს იჯარით მიწათ-მომქმედთ. აქ ყველაფერი საინტერესოა. ვინ იფიქრებდა, ვთქვათ ოცი წლის წინად, რომ ინგლისის ლიბერალები, ესოდენ თაყვანისმცემელნი კერძო საკუთრების პრინციპსა და „სახელმწიფო ჩარევის" წინააღმდეგნი, დღეს მომხრენი გახდებოდნენ: 1) მიწის იძულებით ჩამორთმევისა კერძო მესაკუთრეთაგან, 2) მიწის მუნიციპალიზაციისა და 3) მიწის გაცემისა მხოლოდ სარგებლობისათვის და არა საკუთრებად?!

ასე იცვალა დრო. მშრომელ ხალხის ძლიერმა ხმამ პირველ რიგში წამოაყენა დიადი საკითხი და იგი უეჭველად იქნება გადაწყვეტილი ხალხის ინტერესების მიხედვით, რამდენიც არ უნდა ეცადოს რეაქციონური ფეოდალობა.

---

### თავდასხმა
### ყუმბარები და დიდძალ ფულის გატაცება

გუშინ, 13 ივნისს, დილის ასე თერთმეტი საათი იქნებოდა, მთელ ქალაქში გაისმა საშინელი ხმა სროლისა. კაცი ვერ გაარჩევდა, ზარბაზანს ისროდნენ, თუ ყუმბარებს აფეთქებდნენ. სროლის ხმა გაისმა რვაჯერ და ამან ყველანი შეაშფოთა. ზოგი ამბობდა—ზარბაზნებს ისვრიანო, ზოგი—თოფის წამლის საწყობები აფეთქდაო, ზოგი—სოლოლაკში, სადაც გვირაბი გაჰყავთ, კლდეს აფეთქებენო, ზოგი—ყუმბარები გადააგდესო. პატარა ხანს უკან თითქმის მთელ ქალაქში, უფრო-კი შუაგულში—გოლოვინის პროსპექტზე, პუშკინის ქუჩაზე, ვორონცოვის ხიდზე, მიხეილის ქუჩაზე და სხვაგან ხალხი აქეთ-იქით გარბოდა, მიაქროლებდნენ აგრეთვე ეტლებს და დროგებს, ჰკეტავდნენ მაღაზიებს. უმრავლესობამ არ იცოდა, საქმე რაში იყო, მაგრამ მაინც გარბოდა და იმალებოდა. ერთი საათის შემდეგ მიხეილის ხიდზე გამოჩნდნენ ეტლები, რომლებითაც პოლიციელებს მიხეილის საავადმყოფოსაკენ დაჭრილები მიჰყავდათ და მოკლულთა გვამები მიჰქონდათ. ამის დანახვაზე უფრო აირია ხალხი. ძნელი წარმოსადგენია ის შიში, რომელიც ამ დროს ხალხმა გამოსცადა. ბოლოს, რამდენადაც ცნობები შევკრიბეთ, გამოირკვა შემდეგი:

აღნიშნულ დროს, ესე იგი 11 საათზე, ფოსტიდან სახელმწიფო ბანკის ტფ. განყოფილებაში, რომელიც ფრეილინის ქუჩაზეა, მეარტელეს ხელით გაგზავნეს 270,000 მან. მეარტელე ეტლში იჯდა. მეარტელეს ახლდნენ (ორი ეტლი იყო) სალდათები და კაზაკები. როდესაც ეტლები ერევნის მოედანზე ასულან, სოლოლაკის ქუჩის კუთხეში, „კავკაზის" რედაქციის მახლობლად, უსროლიათ ზედი-ზედ რამდენიმე ყუმბარა. როგორც ამბობენ, ერთი ყუმბარა უსროლიათ მეარტელეს მცველებისათვის, მეორე—მეარტელესთან მჯდომ დარაჯებისათვის, მესამე—ქალაქის თვითმართველობის სახლის კუთხეში, მეოთხე—ქარვასლასთან. დანარჩენი ოთხი ყუმბარაც ამ გვარადვე აქა-იქ გადაუგდიათ. ამის შემდეგ უცნობები, რომელთა რიცხვიც როგორც ამბობენ, ოცს კაცს აღემატებოდა, მივარდნიან მეარტელეს ეტლს, გაუტაცნიათ 250,000 მან. და გაქცეულან. დანამდვილებით ვერ გავიგეთ, როგორ გაიტაცეს ეს ფული, ზოგი ამბობს, მეარტელესავე ეტლში ჩასხდნენ, ერთი კოფოზე მოექცა და გააქანა ეტლი ფულიანათაო; ზოგი კიდევ—ფულის პარკებს დასტაცეს ხელი და გაიქციესო.

როგორც ეტყობა, უცნობებს აზრადა ჰქონიათ, მდევარისთვის გზა კვალი დაებნიათ, ალბად ამიტომ ყუმბარები სხვა და სხვა ადგილას დააგდეს—ერევნის მოედანზე, პუშკინისა, სიონისა და ველიამინოვის ქუჩების შესახვევებში. მნახველთა გადმოცემით, ერევნის მოედანი, სადაც ამ დროს ყოველთვის დიდ-ძალი ხალხი ტრიალებს, ნამდვილ ჯოჯოხეთს წარმოადგენდა ვინც მოასწრო, ქალაქის გამგეობის სადგომში შევარდა, ზოგმა თამამშევის ქარვასლას შეაფარა თავი, ზოგი სასახლის ქუჩისაკენ გაიქცა. ხალხი ერთი ერთმანეთზე გადადიოდა, რისაგანაც ბევრი დაშავდა. თავდამსხმელებს ამ აურ-ზაურით და ღრიანცელით უსარგებლნიათ, გაქცეულან სხვა და სხვა მხარეს და მიმალულან. მალე ერევნის მოედანზე გაჩნდნენ პოლიციელები, მოვარდნენ შტაბიდან და საკამენდანტოდან შეიარაღებული სალდათები, მოაჭენეს ცხენები დრაგუნებმა. თავდამსხმელთა აღმოსაჩენად მოედვნენ ჯერ ახლო-მახლო ქუჩებს და მერე ქალაქს. ვერ გავიგეთ, შეიპყრეს თუ არა თავდამსხმელნი, თუმცა ამბობენ, ორი მათგანი დააპატიმრეს და ერთი კიდევ მოჰკლესო.

თავდამსხმელთ 270,000 მანეთიდან ვერ წაუღიათ ოცი ათას მანეთამდე. ერთი პოლიციელი, როგორც მან აცნობა პოლიცმეისტერის სამმართველოს, გერმანელების სასაფლაოსთან წამოსწევია ერთ მეეტლეს, რომელსაც მცირე ჭრილობა ჰქონია, პოლიციელს ეჭვი აუღია და მეეტლე შეუჩერებია. გაუჩხრეკია ეტლი და უკან უნახავს ტყავის აბგა, რომელშიაც ყოფილა 9,500 მან. რა დამოკიდებულება ჰქონია მეეტლეს თავდამსხმელებთან, ჯერ არ არის გამორკვეული. გარდა ამ ფულისა, პოლიციას უნახავს კიდევ 10,500 მან., მაგრამ სად და როგორ ვერ შევიტყეთ.

თავდაცემისა, ყუმბარების გადაგდებისა და სროლის დროს მოკლულ იქმნა ერთი ყაზახი, გვარად ერეშა, ერთი გოროდოვოი და, ერთიც კიდევ ვიღაც უცნობი.

დაიჭრნენ: კაზაკები კ. ტრიუხინი, იუდა შოსტაკი, ვასილ ივანოვი, ბანკის დარაჯი მიხეილ მარტინოვი, ბანკისავე მსახური პავლე ჟილიაევი და არტელის მცველი ყაზახი კარას დენისენკო. ერთს კაზაკს ყუმბარის ნატეხმა ცხენი დაუჭრა, ცხენი წაიქცა და კაზაკი გადმოვარდა. დაიჭრნენ შემთხვევით ერევნის მოედანზე მყოფნი: მარკოზ ტერ-ოჰანეზოვი, მეეტლე გრიგოლ სმირნოვი, მასწავლებელი არაქელოვი, ნიკოლოზ სოსინი, ალექსანდრე თეოდოროვი, მიკირტიჩ მიკირტუმოვი, ვასილ იუზბაშევი, მიხეილ გრიქუროვი, რაჟდენ ურუშაძე, ვასილ კულაგინი, მირზა იახი ალიასკაროვი, გუკას კეროპიანცი, კავკასიის მესამე ბატალიონის სალდათი შამუგია, მიხეილ იარიში, კურან მურადოვი, პირველ გიმნაზიის აღმზრდელი სტეფანე მალიშკოვი. როგორც ამბობენ, სხვებიც დაჭრილან. 9 კაცი

მძიმედ არის დაჭრილი და საავადმყოფოში დააწვინეს, ხოლო დანარჩენები ჭრილობების შეხვევის შემდეგ უადგილობისა გამო თავიანთ სახლებში წავიდნენ.

როგორცა ვთქვით, ყუმბარების ხმა მთელ ქალაქში გაისმა. ყუმბარის ნატეხებისაგან ფანჯრები სულ ჩაილეწა თამამშევის ქარვასლაში, ახლო-მახლო მაღაზიებსა და სახლებში, აგრეთვე ქალაქის თვითმართველობის სახლში. ამ სახლის არც ქვემოდ და არც ზემო სართულში არც ერთი ფანჯარა არ გადარჩენილა. სხვათა შორის ყუმბარების ნატეხები ნახეს ქალაქის თავის კაბინეტში. ბევრი დაჭრილი, თავზარ დაცემული, გამგეობის დარბაზში შევარდა. გამგეობის სახლის შესავალი და მაღლა მისაღებ დარბაზის იატაკი სისხლით იყო მოსვრილი.

ადმინისტრაცია და ჯარი ფეხზე დადგა. პოლიციელები და პატრულები მთელს ქალაქში შეუდგნენ ჩხრეკას. როგორც გადმოგვცეს, ბევრი დააპატიმრეს.

## ახალი ამბავი

**საიდუმლო სტამბა.** ამ ოთხი-ხუთი დღის წინად, ახპატის ვიწრო ქუჩაზე, „ტ. ლ.“-ს სიტყვით, აღმოუჩენიათ საიდუმლო სტამბა. ამ ქუჩაზე ორ ოთახიანი სახლი ყოფილა (№ 12). სახლი გაუჩხრეკიათ. ერთი ოთახის ქვეშ აღმოუჩენიათ სარდაფი, რომელიც კლდეში ყოფილა გამოქვაბული. სიგრძე სარდაფს თვრამეტი საჟენი ჰქონია. სარდაფს გვერდზე სხვა გამოქვაბული ჰქონია, რომლის გამოსავალიც ქვებით ყოფილა ამოშენებული. როდესაც ეს ქვები გადმოუყრიათ, შიგ უნახავთ საბეჭდავი მანქანა, სამი ფუთი ქართული და რუსული შრიფტი, ჩამოსხმული სტერეოტიპეტი და სხვა. სტამბის პატრონნი მიმალულან.

**პოლიტიკური საქმე.** სამშაბათს, 12 ივნისს, გორში ტფ. ოლქის სასამართლოს სესიას უნდა გაერჩია საქმე გ. მაჩაბლისა, ბეგაშვილისა, თედელურისა, იკაშვილისა, კესანაშვილისა, გრიქუროვისა და ტერ-სიმონოვისა, რომელთაც ჰბრალდებათ ცხინვალში ორი წლის წინად საერობო დარაჯთა რაზმზე თავდასხმა და იარაღის აყრა. სასამართლომ ერთი მოწმის დაუბარებლობისა გამო საქმე გადასდო ენკენისთვემდის. ბრალდებულნი 16—18 თვე სხედან ციხეში.

**სამხედრო საოლქო სასამართლო.** სამხედრო-საოლქო სამართალში მისცეს კახელნი გიორგი დათუკაშვილი და ნიკო სტეფანაშვილი და ლეკი გიმბეტ ფერაბუდოგ-ოღლი. ამათ ჰბრალდებათ შეიარაღებული თავდასხმა (29 აპრილს) ადგილობრივ მღვდლის დავით გოგიაშვილზე და მისი გაძარცვა.

**მოურავის მოკვლა.** 10 ივნისს ღამე სოფ. საგურამოში მოუკლავთ ილია ჭავჭავაძის მოურავი ბესო მაყარაშვილი და იმისი ცოლი. ოთხი შეიარაღებული კაცი სახლში შევარდნია მაყარაშვილს და ხანჯლებით აუკუწნია როგორც ის, ისე იმისი ცოლი. წაუღიათ მხოლოდ საათი და ქამარი.

**ჩრდილოეთში გაგზავნა.** ვიატკის გუბერნიაში სამის წლით გზავნიან: ნოქრებს სიმონ ელიავას, კონსტანტინე საგირაშვილს, არტემ თაქთაქოვს, გრიგოლ ფარემუზოვს, გიორგი ცხოვრებაშვილს, პოღოს ტერ-სიმონიანცს, იოსებ სარატიკ-ოღლის, სტეფანე ამბარდანოვს და გრიგოლ ჯიმშეროვს. ამათ ჰბრალდებათ საიდუმლო კრებების გამართვა. ვიატკის გუბერნიაშივე ხუთი წლით იგზავნება შაქრო (იგივე სანდრო) ხუციშვილი, რომელსაც ტერორისტობას აბრალებენ.

**ფულის გატაცება.** 12 ივნისს კათოლიკების ქუჩაზე მინავალებულა ვაჭრების ძმ. ბალდასაროვების რწმუნებული ამიაკ ასლანოვი, რომელსაც 3000 მან. მიჰქონებია ბანკში შესატანად. ასლანოვს თავს დასცემია ოთხი შეიარაღებული კაცი. ფული გაუტაცნიათ.

**ტფილისიდან გაგზავნა.** ტფ. გენ.-გუბერნატორის განკარგულებით, აეკრძალათ ტფ. გუბერნიაში ცხოვრება ფიდო ახალბედაშვილს და გოროდოვოის ეფრემ კეკელაშვილს.

**ხმოსნების სიების წარდგენა.** ქალაქის გამგეობამ უკვე წარუდგინა გუბერნატორს დასამტკიცებლად არჩეულ ხმოსნების სიები. დამატებითი არჩევნები ახლო მომავალში მოხდება.

**ახალი სააქციონერო საზოგადოება.** ინგლისელებმა დააარსეს ახალი სააქციონერო საზოგადოება ამ სახელით „ქუთაისის მთა მადნის და ხე-ტყის საზოგადოება“. შინაგან საქმეთა მინისტრმა ნება დართო ხსენებულ საზოგადოებას, შეუდგეს მოქმედებას.

**საავტომობილო მიმოსვლა ნოვოროსიისკსა და სოხუმს შორის.** აზრადა აქვთ, იჯარით გასცენ საქმე საავტომობილო მიმოსვლის მოწყობის შესახებ სოხუმსა და ნოვოროსისკს შორის. ვადად განცხადების შესატანად სამინისტროში იმათთვის, ვისაც უნდა ეს საქმე აიღოს, დანიშნულია პირველი სექტემბერი. ამ დრომდე უნდა შეიტანონ განცხადებანი.

**სახლის პატრონის დაჯარიმება.** ტფ. გენ.-გუბერნატორის განკარგულებით, ათი თუმნით დააჯარიმეს სახლის პატრონი გიორგი ბეგთაბეგოვი. მიზეზი ის არის, რომ ამ სახლში სოფიო აბულაძის ბინაზე რევოლვერი აღმოჩნდა.

12 ივნისს, ნაშუადღევის 3 საათზედ, დისკონოვის ქუჩაზედ დააპატიმრეს ტფ. მოქალაქე დავით გოგიბაშვილი, რომელიც პოლიციის ცნობებით, თავს დასცემია ტერ-ოჯანეზოვს და 150 მან. წაურთმევია. დაპატიმრებული საკომენდანტო სამართველოში გაგზავნეს.

გვთხოვენ დავბეჭდოთ: «ორშაბათ დილით წავიდა სახლიდან ფიდო ივანეს ძე დავლიანიძე და აღარ დაბრუნებულა. იგი ცოტა ჭკუაზე შეშლილი იყო. თუ ვინმემ ნახოს, ვთხოვთ გვაცნობოს. ადრესი: რიყის ქუჩა, აგუნაკოვის სახლი № 18 პადვალში, ვლადიმერ ფორსიძე».

12 ივნისს ჩხუბი მოსვლიათ უბნის ზედამხედველად ნამყოფს მ. ალიმოვს და ბონდარენკოს ქალს, რომელთანაც ალიმოვი სცხოვრობდა. ჩხუბის შემდეგ ალიმოვს რევოლვერი გაუსროლია და თავი მოუკლავს.

### ქართული ენის პროგრამის გამო

(წერილი რედაქციის მიმართ)

ამ ბოლო დროს ქართული ენის გაკვეთილების რიცხვმა მთავრობის საშუალო სასწავლებლებში თვალსაჩინოდ იმატა, მაგრამ ქართული ენის და ლიტერატურის შესწავლა მაინც ჯეროვანად და სასურველად არ არის დაყენებული. სხვა მრავალ მიზეზთა შორის, ერთი მიზეზი ამისა ის არის, რომ არავითარი სავალდებულო პროგრამა არ არსებობს ქართულის ენისათვის. თითოეულს ქართული ენის მასწავლებელს თავისი პროგრამა აქვს, ანუ უკედ რომ ვთქვათ, უმეტეს შემთხვევაში სრულებით არავითარი პროგრამა არა აქვს და, როგორც სურს და ეპრიანება, ისე ასწავლის თავის საგანს. არა ერთხელ გაგვიგონია საყვედური გიმნაზიების დირექტორებისაგან, რომ ქართველი საზოგადოება არა ზრუნავს სახელმძღვანელოების შედგენის და ქართული ენის პროგრამის შემუშავებისათვისაო.

ზოგიერთებმა ჩვენ გვთხოვეს შეგვედგინა პროგრამა ქართულის ენისა საშუალო სასწავლებელთათვის. ამას წინად კიდევ სამოსწავლო ოლქის მზრუნველის კანცელარიიდან გადმოგვცეს გასასინჯავად და აზრის წარსადგენად ზოგიერთ გიმნაზიის მიერ წარდგენილი პროგრამები. ვერც ერთი მათგანი ჩვენ საკმაოდ და სასურველად ვერა ვსცანით. ამას გარდა, ჩვენის აზრით, პროგრამა ქართულის ენისა ყველა გიმნაზიასა და საშუალო სასწავლებელში, რომლებშიაც ამ საგანს ასწავლიან, ერთი და იგივე უნდა იყოს და მასთან სავალდებულოც. თვით ქართული ენის მასწავლებელთა წრის მოვალეობად მიგვაჩნდა ჩვენ ასეთ პროგრამის შედგენა.

ამიტომ მივმართეთ თხოვნით ყველა ქართული ენის მასწავლებელს ტფილისის საშუალო სასწავლებლებისას, მათ შორის სასულიერო სემინარიის და სათავად-აზნაურო გიმნაზიის მასწავლებელთაც, მიეღოთ მონაწილეობა ქართული ენის პროგრამის შედგენაში. მასწავლებელთა კრებამ რამდენიმე სხდომა მოანდომა საგნის გამორკვევას, შემდეგ კომისია აირჩია, კომისიის მიერ წარმოდგენილი პროგრამა გაარჩია, შესცვალა და შეავსო და ის გეგმა შეადგინა, რომელსაც ქვემოდ მკითხველებს ვაწოდებთ.

ეხლა მივმართავთ თხოვნით ყველა იმ პირთ საზოგადოებისას, ვისაც ამ საგნისათვის გული შესტკივა, თავიანთი აზრი გამოსთქვან ამ გეგმის შესახებ და თქვენ, ბატონო რედაქტორო, გთხოვთ ადგილი დაუთმოთ თქვენს გაზეთში ყველა იმ სტატიებს და შენიშვნებს, რომელნიც ამ პროგრამის შესახებ იქნება წარმოდგენილი.*) აგვისტოს დამლევს ამა წლისას კომისია ერთხელ კიდევ ყურადღებით განიხილავს პროგრამას იმ მასალის მიხედვით, რომელიც იმ დროისთვის შეიკრიბება თქვენის გაზეთის საშუალებით, შეავსებს და შესცვლის, რასაც საჭიროდ დაინახავს, და შემდეგ წარუდგენს მზრუნველს თხოვნით, რომ წარდგენილი პროგრამა სავალდებულო იყოს ყველა იმ საშუალო სასწავლებელთათვის (ვაჟების და ქალების გიმნაზიებისათვის და პროგიმნაზიებისათვის, რეალურ სასწავლებელთათვის და სხვა), რომლებშიაც ქართულს ენას ასწავლიან. თუ რა პრინციპებზეა დამყარებული წარმოდგენილი გეგმა პროგრამისა, ეს თვით გეგმიდან სჩანს და აქ არ გავიმეორებთ. შევნიშნავთ მხოლოდ, რომ ყოველგვარ გარჩევას, კრიტიკას და შენიშვნას ამ გეგმის შესახებ კომისია დიდის მადლობით მიიღებს და ყურადღებით განიხილავს საბოლოო პროგრამის გამომუშავების დროს.

**ექვთიმე თაყაიშვილი.**

### გეგმა

**ქართული ენის პროგრამისა მთავრობის საშუალო სასწავლებლებისათვის.**

**მოსამზადებელი კლასი:** უმცროსი განყოფილება.

(კვირაში 4 გაკვეთილი).

მოსამზადებელი კლასის უმცროსი განყოფილების პროგრამა გულის ხმობს, რომ ამ კლასში შემომსვლელმა ბავშვებმა ქართული ლაპარაკი და წერა-კითხვა უნდა იცოდენ.

ამ კლასიდან იწყება ქართული სალიტერატურო ენის თანდათანობითი შეთვისება. ამ მიზნის მისაღწევათ საჭიროა შემდეგი ვარჯიშობანი: 1. კითხვა და წაკითხულის გადმოცემა; 2. ზეპირათ დასწავლა; 3. საუბარი სხვა და სხვა საგნებზე და მოვლენებზე; 4. წერითი სავარჯიშოები.

ყველა ეს სავარჯიშო ერთმანეთთან მტკიცეთ უნდა იყოს შეკავშირებული.

საკუთრივ, საკითხავ-გადმოსაცემი, საზეპირო (არა უმცირეს 10 პატარა ლექსისა) და სასაუბრო მასალა დაახლოვებით იმ შინაარსისა და იმ გეგმით, როგორც ეს, მაგალითად, ი. გოგებაშვილის „დედა-ენა“-შია, ანბანს შემდეგ, 1-დან მე-15 რიგამდე.

საწერი სავარჯიშოები ამ კლასში ოთხი გვარისაა: ა) სუფთა და ლამაზი წერა ბადიან რვეულში (დედნიდან ან წიგნიდან გადმოწერა); ბ) კარნახი; გ) ზეპირათ დასწავლილის დაწერა (უწიგნოთ); დ) საპასუხო-საწერი (მაგალ.. „დედა-ენაში“).

**მოსამზადებელი კლასი:** უფროსი განყოფილება.

(კვირაში 4 გაკვეთილი)

ამ კლასშიაც იმავე გვარის სავარჯიშოებია, რაც უმცროს განყოფილებაში; ემატება მხოლოდ **სამშობლოს-აღწერა.**

საკუთრივ, საკითხავ-გადმოსაცემი, საზეპირო (არა უმცირეს 10 პატარა ლექსისა), სასაუბრო მასალა და სამშობლოს აღწერა დაახლოებით იმ შინაარსითა და გეგმით, როგორც ეს ი. გოგებაშვილის „დედა-ენის“ უკანასკნელ (1906 წ.) გამოცემაშია 15-იდან 21-ელ რიგამდე და ამ უკანასკნელიდან სასულიერო განყოფილებამდე.

წერითი სავარჯიშოები ამ კლასშიაც ოთხ გვარია: ა) სუფთა და ლამაზი წერა ორ-ხაზიან რვეულში უბადეოთ; ბ) ზეპირათ ნასწავლის დაწერა (უწიგნოთ); გ) საპასუხო-საწერი (იხ. მაგალითად „დედა-ენაში“); დ) წაკითხულ სტატიათა შინაარსის გადმოცემა კითხვების შეწყობით და უიმათოდაც.

**პირველი კლასი.**

(კვირაში 3 გაკვეთილი)

პირველ კლასში შემდეგი სავარჯიშოებია: 1. ქართული ენის გრამატიკა; 2. სამშობლოს-აღწერა (უფრო ვრცლათ, ვინემ მოსამზადებელ კლასში); 3. კითხვა-გადმოცემა; 4. ზეპირათ დასწავლა; 5. წერითი სავარჯიშოები.

1. ქართული ენის გრამატიკა (უმთავრესათ პრაქტიკულათ): სიტყვის ნაწილთა მოკლე საზოგადო მიმოხილვა; არსებითისა და ზედსართავი სახელის ცალ-ცალკე და ერთად ბრუნება; ზმნის დროებისა და პირის გამოცნობა; ზმნის თავსართები; მარტივისა და გავრცელებული წინადადების ნაწილთა გამოცნობა; წოდებითი სიტყვა ანუ მიმართვა წინადადებაში; ხმები და ან-ბანი; მარცვალი და სიტყვის დამარცვლა; უადვილესი სიტყვების ძირის გამონახვა; სასვენი ნიშნები.

2. **სამშობლოს-აღწერა:** ამიერ კავკასია საზოგადოთ და საქართველოს მეზობელი ქვეყნები და მათი მცხოვრებლები (აფხაზები, ოსები, ლეკები, სპარსელები, სომხები და ოსმალები); აღმოსავლეთის საქართველო: ძველი მესხეთი, შიდა ქართლი, ბორჩალოს მაზრა, კახეთი, თუშ-ფშავ-ხევსურეთი, საინგილო. (მათი საზღვრები, ბუნება, ჰავა, უმთავრესი მცენარეები, ტბები, მთები, მცხოვრებლები, მათი რიცხვი, ზნე-ჩვეულება, მეურნეობა, სწავლა-განათლება; ძველი და ახალი შესანიშნავი ქალაქები ან დაბა-სოფლები და ისტორიული ციხე-მონასტრები).

შენიშვნა. სამშობლოს გეოგრაფიას მოწაფეები იწყებენ იმ მხრიდან, სადაც მათი სასწავლებელი იმყოფება: მაგ. თბილელი ან გორელი ქართლიდან (აღმოს. საქართველო), ხოლო ქუთათელი—იმერეთიდან; ამის მიხედვით, მასწავლებელს შეუძლია ის, რაც აქ პირველი კლასის კურსშია ნაჩვენები, მე-II კლასის კურსში გადაიტანოს, ხოლო მეორისა—პირველისაში (ამის კვალობაზე შეიცვლება, რა თქმა უნდა, ზოგიერთი საზეპირო მასალაც, რომელიც ქვემოთ არის ნაჩვენები).

3. საკითხავ-გადმოსაცემი მასალა პირველსა და შემდეგს კლასებში უმთავრესათ ბელეტრისტული ნაწერებისაგან უნდა შესდგებოდეს (ჩვენი საუკეთესო ბელეტრისტების თხზულებანი), სადაც მოწაფე უნდა ეცნობოდეს ბუნებას და განსაკუთრებით ხალხის ცხოვრებას სოფელსა და ქალაქში. ეს მოთხრობები (რიცხვით 10-იდან 15-მდე) როგორც ფორმის, ისე შინაარსის მხრით პირველი კლასის მოწაფეთა ასაკისა და განვითარების შესაფერი უნდა იყოს. სასურველია მათი მთლიანათ შესწავლა, მაგრამ, თუ, სიდიდის გამო, ეს მოუხერხებელი აღმოჩნდება, იმ შემთხვევაში, შეიძლება, მოთხრობა შემოკლებითაც გაიარონ. აი ამ-გვარ მოთხრობათა სანიმუშო სია: 1) ვაჟა-ფშაველასი: „ჩხიკვთა ქორწილი“; 2) ეკატერინე გაბაშვილისა: „ჩვენი კაკლის ხე“; 3) მისივე: „თამროს შეხვედრა“; 4) მისივე: „ოჯახის ბურჯი“; 5) ლომაურისა: „ქაჯანა“; 6) მისივე: „ალი“; 7) შიო არაგვისპირელისა: „მოგონება“; 8) მისივე: „ღმერთო დაილოცოს შენი სამართალი“; 9) სოფრომ მგალობლიშვილისა: „ყაყიტას ქურდი“; 10) თედო რაზიკაშვილისა: „ფითრი“; 11) მისივე: „ერთხელ გაძღა“. 12) შიო არაგვისპირელისა: „ეჰ“ (სეტყვა); 13) დუტუ მეგრელისა: „ქინაქინი“; 14) სამიოდე პატარა და საადვილო არაკი საბა ორბელიანის „სიბრძნე-სიცრუის წიგნი“-დან; 15) ხალხური ზღაპარი: „ორი ქურდი“.

4. საზეპიროები (არა ნაკლებ 10 ლექსისა) პირველ კლასში, რამდენადაც კი შესაძლოა, საკითხავსა და საგეოგრაფიო მასალას უნდა შეესაბამებოდეს. აი ამ ლექსების სანიმუშო სიაც: 1) რაფ. ერისთავისა: „ზამთარი“; 2) მისივე: „აღდგომა“; 3) მისივე: „ტეტიას მოთქმა“; 4) მისივე: „თინიას მამითადი“; 5) მისივე: „სურათი“; 6) ცახელისა: „ქარიშხალი“; 7) შიო მღვიმელისა: „ობოლი“; 8) აკაკი წერეთლისა: „დათვის წვეულება“; 9) მისივე: „გულკეთილი მელა“; 10) რაფ. ერისთავისა: „ჭრიჭინა და ჭიანჭველა“; 11) ნიკ. ბარათაშვილისა: „მორბის არაგვი“; 12) ვახტანგ ორბელიანისა: „კახეთისადმი“ („აღარ მეღირსა, მშვენიერო ჩემო კახეთო“).

5. **წერითი სავარჯიშოები:** ა) სუფთა წერა ერთ-ხაზიან რვეულში; ბ) წაკითხულის შინაარსის გადმოცემა კითხვების შეწყობით და უიმათოდაც; გ) რომელისამე ნაცნობი საგნის (ან სურათის) აღწერა მიცემული გეგმის საშუალებით.

(შემდეგი იქნება)

*) ყველა გამოგზავნილს წერილს და შენიშვნას ჩვენ გადავცემთ ზემოდ აღნიშნულ კომისიას; უფრო საყურადღებო წერილებს დავბეჭდავთ. **რედაქცია.**

### შავი ქვის მრეწველთა მეცხრე კრება.

9 ივნისი.

ამ დღეს თავმჯდომარემ აცნობა კრებას, რომ სავაჭრო და სამრეწველო მინისტრს თავისი განკარგულება მრეწველთა კრების ჭიათურაში გადატანის შესახებ გააუქმებია.

შემდეგ კრება შეეხო სავაჭრო სკოლას. გამოირკვა, რომ სავაჭრო სკოლაში ძალიან ცოტანი დადიოდნენ. ამიტომ კრებამ გააუქმა სკოლა, იმ პირობით, რომ მოეწყოს საზაფხულო ლექციები და კითხვები. ამ საგნის შესახებ კრება მსჯელობას იქონიებს ხარჯთ-აღრიცხვის განხილვის დროს.

ჯერი მიდგა იაფ-სასადილოებზე. სიტყვა მიეცა გ. ზდანოვიჩს, რომელმაც დაახლოვებით სთქვა შემდეგი: სარევიზიო კომისიის მოხსენებიდანა სჩანს, რომ ორთა შუა რიცხვით სასადილოებით სარგებლობს დღეში 300 კაცი, აქედან ნახევრადა კი მუშები არ არიან. რათა დაფასდეს რამდენად სასარგებლოა სასადილოები, ისიც უნდა მივიღოთ მხედველობაში, რა დაიხარჯა. წარსულმა კრებამ ჩვენ გადაწყვეტილი არა დაგვავალა-რა სასადილოების შესახებ და რამდენადაც გამოირკვა, მაშინ წლიური ხარჯი ორ-სასადილოსი 5000 მანეთზე მეტი არ უნდა ყოფილიყო. ჩვენ არა თუ 5000 მანეთი, 8000 მანეთიც კი მივეცით და მაინც სასადილოებისადმი სიმძულვარეს გვიკიჟინებენ. ასე გასინჯეთ, სასადილოების მოსამსახურეებმა ჩვენი მოქმედება განასაჩივრეს ერთის პარტიის ორგანიზაციაში. მე ვწუხარ, რომ ამ პარტიის წარმომადგენელი ამ ჟამად აქ არ არის, რომ მანაც დაადასტუროს ჩემი სიტყვები, მხოლოდ არ შემიძლიან არ აღვნიშნო, რომ ამისთანა პირობებში საქმიანობა შეუძლებელია.

**ს. ქვარიანი.** ვის ხელშია სასადილოები?

**გ. ზდანოვიჩი.** სასადილოებს განაგებდა არ ვიცი ვისგან არჩეული კომიტეტი, რომელსაც უსასყიდლოდ თავმჯდომარეობდა ს. დ. ჯაფარიძე. კომიტეტი მოქმედებდა დამოუკიდებლად და მოსამსახურეებს ჯამაგირი მოუმატა.

**სვ. ქვარიანი.** რად ჩააბარა საბჭომ საქმე კომიტეტს?

**გ. ზდანოვიჩი.** ჩვენ მერვე კრებამ დაგვავალა, შემწეობა აღმოგვეჩინა სასადილოებისათვის და კიდევაც შევასრულეთ; ეხლა კრებამ უნდა გადასწყვიტოს—შესაძლებელია თუ არა საქმე დარჩეს დღევანდელ მდგომარეობაში?

**ს. დ. ჯაფარიძე.** ვინ ან როდის აირჩია კომიტეტი, ნამდვილად არ ვიცი; მე მხოლოდ შემატყობინეს, რომ ამ კომიტეტის თავმჯდომარედ ვარ არჩეული და რამდენადაც კი ძალა და ღონე შემწევდა, ვემსახურებოდი საქმეს, რადგან მე სასადილოებს დიდ მნიშვნელობას ვაძლევ. საქმე ასეა მოწყობილი: ხარჯი ბინასა, მოსამსახურეებსა და სასადილოების მოწყობაზე უნდა გასწიოს საბჭომ, ხოლო სანოვაგის ფასი უნდა აანაზღაუროს სადილში გადახდილმა ფულმა. თუმცა ზდანოვიჩი იმ აზრისაა, რომ ბინის გარდა, სხვა ხარჯი სასადილოების შემოსავალმა უნდა გაისტუმროს: თუმცა მერვე კრების ოქმებში არ არის აღნიშნული ის ფული, რომელიც სასადილოებს უნდა მისცემოდათ, მაგრამ მე და ზოგიერთ სხვასაც გვახსოვს, რომ ამ საგანზე საბჭოს უნდა გაედო არა ნაკლებ 8000 მანეთისა. რაც მოხდა 1905 წლის დამლევს, ყველას კარგად მოხსენება და ამაზე ლაპარაკით თავს აღარ მოგაწყენთ. ვიტყვით მხოლოდ, რომ იძულებულნი შევიქენით მოსამსახურეთათვის ჯამაგირი მოგვემატებინა და ამ გარემოებამ, რასაკვირველია, ზარალი გაადიდა. ჩვენ რამდენჯერმე მივმართეთ საბჭოს, რომ სასადილოები თავის განკარგულებაში მიეღო, მაგრამ საბჭომ არ ინება. იქნება ჩვენი დაწესებულება მცირე ნაწილს მუშებისას აკმაყოფილებს, მაგრამ უარ-ყოფა იმის სარგებლობისა, უსამართლობაა.

**გიგა აბაშიძე.** მერვე კრებაზე ექიმმა ჯაფარიძემ განაცხადა, რომ თითო სასადილოს თვიურად უნდება არა უმეტეს 230 მანეთისა და ამისდა გვარად კრებამ შესაძლებლად სცნო, ამ საქმისათვის გადაედო 5000 მანეთი. ჩვენ კანონი გადავლახეთ, 5000 მანეთის მაგივრად, მივეცით 8000 მანეთი და მაინც ბრალსა გვდებენ, უსიმპატიოდ ეკიდებით სასადილოებსაო. პირიქით, მტრულად ჩვენ კი არ ვეკიდებით სასადილოებს, კომიტეტი გვეკიდება აზრებულად, რაც იმითი დამტკიცდა, რომ კომიტეტმა ნება არ დაგვრთო რევიზია მოგვეხდინა სასადილოებისა, ხოლო ჩვენს წერილზე პასუხიც არ გვაღირსა.

**იაგორ ლორთქიფანიძე.** ჭიათურის სასადილო არსებობს 1 წელიწადი და $4^1/_2$ თვე, ხოლო ჭიქლურისა—$3^1/_2$ თვე, ე. ი. ორივეს ერთად ორი წლის არსებობაც არა აქვს. საბჭოს მიერ გავრცელებულია უკვე 8000 მანეთი და გასასტუმრებელი, კიდევ 4000 მანეთი; ამნაირად დეფიციტი უდრის 12,000 მანეთს. მარტო ჯამაგირებზე წასულა 6000 მანეთი. ეს გარემოება არ შეეძლო არ აღენიშნა სარევიზიო კომისიას, მით უმეტესად თითო გაცემულ სადილზე საბჭო ზარალობს $8^1/_2$ კაპეიკს. საბჭოს მოქმედების ანგარიშში სამართლიანად არის შენიშნული, 150 კაცის მაგივრად რომ ისადილოს 3000 მუშამ, ე. ი. მუშათა რიცხვის მესამედის ცოტა ნაკლებმა, მაშინ წლიური ხარჯი სასადილოებზე იქნება 91,800 მანეთი, ანუ საბჭოს

გიუჯიტის ერთი-მესამედი. ასეთი მდგომარეობა საქმისა გვაიძულებს, რომ იგი სხვანაირად მოვაწყოთ და ჩვენ მოვალეობად ვიდოთ მარტო ხარჯი ბინაზე და სასადილოების მოწყობაზე, ხოლო სხვა ხარჯი თვით სადილების ფასმა უნდა დაფაროს.

**ი. კიკვაძე.** მოსადილეთა რიცხვი მცირე იყო, ეს მართალია, მართალია ისიც, რომ ძვირად ჯდება სადილი. მაგრამ ამის მიზეზი ის არის, რომ სასადილოებს თავის დროზე ფული არა ჰქონდათ და იძულებულნი იყვნენ სანოვაგეში მეტი ფასი ეძლიათ. ამით სარგებლობდნენ ვაჭრები და ხშირად უვარგის სანოვაგესაც აძლევდნენ. მე თითონ რამდენჯერმე აღვნიშნე სადილების უვარგისობა. მოსადილეთა სიმცირის მიზეზი ისიც არის, რომ კერძო რესტორანებში იმავე ფასად აძლევენ სადილს, როგორიც ჩვენსაშია.

**ზვ. ქვარიანი.** რაც ითქვა აქ სასადილოების უვარგისობაზე, მე ვეღარა ფერს დავუმატებ. ბ-ნმა კიკვაძემ აქ განაცხადა რომ სადილები ხშირად უვარგისიაო; მე უფლება არა მაქვს ეჭვი შევიტანო მის სიტყვებში და მაშა უნებური დასკვნა ასეთია—ორგანიზაცია სასადილოებისა უვარგისია და საჭიროა მისი შეცვლა.

**ბარ. მოსეშვილი.** მუშას დღეს ისეთი სასყიდელი აქვს თავის შრომისა, რომ ჩვენ ვალდებულნი არა ვართ ისინი უსასყიდლოთ ვკვებოთ, 150 კაცისათვის 12 ათასი მანეთი ვხარჯოთ. სასადილოები საბჭოს უნდა გადაეცეს და თუ ბინისა და სასადილოების მოწყობის ხარჯს ჩვენ მივიღებთ, ყოველთვის ვიშოვნოთ ისეთ კაცს, რომელიც იჯარით აიღებს საქმეს ისე, რომ მან წინადვე განსაზღვრულის ფასით და ჩვენ ზედამხედველობით აძლიოს მუშებს სადილები.

**ი. კიკვაძე.** სასადილოები უნდა დავუახლოვოთ მაღაროებს, ამისათვის არსებულ ორ სასადილოს გარდა, მაღაროების მახლობლად უნდა დავაარსოთ 6 სასადილო.

**ი. ლორთქიფანიძე.** როგორა ფიქრობთ, როგორ დაჯდება 6 სასადილოს შენახვა?

**ი. კიკვაძე.** ჩემთვის სულ ერთია, როგორც უნდა დაჯდეს, გინდა 12 მილიონი მოუნდეს. თქვენ ვალდებულნი ხართ მუშებს სასადილოები გაუკეთოთ და თუ ამას არ იზამთ, მაშინ მოსეშვილსა და სხვა მრეწველებს გაიძულებთ მუშებს აუსრულოთ ის, რასაც დაჰპირდნენ და რაც ხელის მოწერით დაადასტურეს.

**კიტა აბაშიძე.** საქმიანი ლაპარაკი შეუძლებელი ხდება, როცა გვეუბნევიან, გინდათ თუ არა, შეგიძლიანთ თუ არა, 12 მილიონი დახარჯეთ, თორემ გაიძულებთ...

თავმჯდომარემ საკითხი დააყენა, გადაეცეს საბჭოს სასადილოები თუ არა.

მრეწველთ ითხოვეს კრების დროებითი შეწყვეტა მოსალაპარაკებლად. თავმჯდომარემ კრება შესწყვიტა. დამსწრეთ თავმჯდომარე აირჩიეს და გაიმართა კამათი. აქამდის უცოდინარობით დამუნჯებული მრეწველნი მხურვალე მონაწილეობას იღებდნენ კამათში. როცა რუსულ ენაზეა სჯა 4—5 კაცი წლივს ლაპარაკობს, ეხლა ერთი მეორეს ეცილებოდა. გათავდა კერძო თათბირი. თავმჯდომარემ დააყენა საკითხი, გადაეცეს თუ არა საბჭოს სასადილოები. 25 მომხრე აღმოჩნდა გადაცემისა, 10 წინააღმდეგი.

კრებამ აირჩია კომისია, რომელმაც ხარჯ-აღრიცხვის განხილვამდე უნდა წარუდგინოს კრებას თავისი მოსაზრებანი სასადილოების მოწყობის შესახებ კომისიაში მოჰყვნენ ი. კიკვაძე, წერეთელი, ჩაჩუა და საბჭოს ერთ-ერთი წევრი.

სამკითხველოების შესახებ. კრება დაეთანხმა ზდანოვიჩს, რომ უნდა შესდგეს რეგლამენტი სამკითხველოსათვის, და გარდა ამისა, სასადილოებისთვის უნდა გამოიწეროს გაზეთები.

დასასრულ აირჩიეს სატეხნიკო კომისიაში: ინჟენერი ავდეევი, სვ. ჯაფარიძე, ნ. ოთხმეზური, ფ. დარჩია; ნ. კიკვაძე, კოს. წერეთელი, ნ. ქუთათელაძე, თედ. ჯაჯანიძე, ჯაზელი, ვლ. ქადაგიძე, ბარ. მოსეშვილი და რომ. ანჯაფარიძე. კრება გადაიდო 11 ივნისისათვის.

კრების დახურვის შემდეგ, მრეწველებმა აირჩიეს დეპუტაცია შემდეგ პირთაგან: ს. დ. წერეთელი, გ. ფ. ზდანოვიჩი, დ. ნ. ბაქრაძე და ბარ. პ. მოსეშვილი. დეპუტაციას დაავალეს ნახოს გენერალ-გუბერნატორი და აცნობოს მრეწველთა მდგომარეობა შემდეგ იმისა, რაც მათ სამრეწველო ბოქაულმა კედიამ თითო დატვირთულ ვაგონზე ხუთ-ხუთი მანეთი დაადო—10 სტრაჟნიკის შესანახავად.

# პროვინციის ცხოვრება

**ღ. ყვირილა.** როგორც უკვე იყო მოხსენებული, ადგილობრივმა პოლიციამ შეაჩერა ამხ. „იმერეთის" მოქმედება და წაიღო კანტორის ნივთები და პაიები, თუმცა ამხანაგობამ „კანონიერად" დაიწყო მოქმედება. პოლიციამ მხოლოდ განაცხადა, რომ შეჩერებად ნებართვა უნდა გქონდეთ გუბერნატორისაგანაო. პასუხად უთხრეს, რომ ამ გვარ ამხანაგობის დაარსებას გუბერნატორის არავითარი მოწმობა არ სჭირიაო, მაგრამ ამხანაგობა მაინც დახურეს. ამხანაგობის სახელით გადენიკე ჩხეიძემ თხოვნა შეიტანა. შორაპნის მაზრის უფროსს შემდეგის შინაარსის მოწერილობა მოსვლია: „დაუყოვნებლივ დაუბრუნეთ „იმერეთის" გამგეს კ. ჩხეიძეს ნივთები, რაც წამოგიღიათ, ვინაიდან მაგ გვარ ამხანაგობებს გუბერნატორის არავითარ ნებართვა არა სჭირიაო". ეს მიწერილობა გამოუცხადეს კ. ჩხეიძეს და ჩააბარეს ყველაფერი.

მაშ თუ აგრეა, რად დახურეს ამხანაგობა? ნუ თუ ჯერ არ უნდა გაეგოთ, საჭირო იყო თუ არა ამგვარ ამხაგობისათვის რაიმე მოწმობა, ან და პირველად რატომ არ მიმართეს გუბერნატორს? მაგრამ ეხლა ვინ დაგიდევს ამას. საკმაოა სოკრატ აბაშიძემ უჩივოს, ვისაც ჯერ არს, რომ ეს ასე არ უნდა იყოს, ეს უკანონოა, რომ ყველაფერი დაიკეტოს. ასე დაემართა „იმერეთს". ვაჭრებმა ჩაუჩურჩულეს სოკრატს, სოკრატმა სხვას ჩაუჩურჩულა, სხვამ კიდევ სხვას და გათავდა საქმე

„იმერეთის" ამხ. ქქვსიდანვე განაგრძო მოქმედება. „პაიების" მთხოვნელები ბლომადაა.

7 ივნისს მოხდა კრება ამხანაგობისა. გამგე-დირექტორის გარდა არჩეულ იქმნა კიდევ ერთი დირექტორი, მდივანი და ხაზინადარი. სხვათა შორის იქონიეს მსჯელობა იმაზე, თუ როგორ მოაწყონ მომავალ სეზონში პარკის ყიდვა. კრებამ ერთხმად დაადგინა, მიენდოს ამ საქმის მოწყობა გამგეობას. ლაპარაკი იყო აგრეთვე იმაზე, გახსნას თუ არა ხარაგაულში ამხანაგობის განყოფილება. წინადადება ერთხმად იქმნა მიღებული. განყოფილების მოწყობა დაევალა გამგე დირექტორს.

ამხანაგობის წევრები საზოგადოდ ჯერჯერობით დიდს მხნეობას იჩენენ.

შავი ქვის ზიდვა ურმებით შესამჩნევად შესუსტდა, რადგან მეურმეები ადგილობრივ მცხოვრებნი არიან,—ხვნას შეუდგნენ და ქვის ზიდვას დროებით თავი მიანებეს.

**მეთვალყური.**

# მუშების ცხოვრება

**დურგალთა პროფ. საზოგადოების დადგენილება.** 31 მაისს კრება მოხდა ტფილისის დურგალთა ას-ორმოცდა-ათ კაცისაგან შემდგარ პროფესიონალურ საზოგადოებისა. დაესწრო 90 კაცი, რომელთაც განიხილეს კომისიის მიერ შემუშავებული წესდება; იგი ერთ ხმად მოწონებულ იქმნა და გუბერნატორს წარუდგინა დასამტკიცებლად. წესდებაში, სხვათა შორის, მოხსენებულია თანამედროვე ხანაში, როდესაც საშინელის კრიზისის გამო უსაქმობაა, დურგალთა პროფესიონალურ კავშირის მიერ დარღვეული ზოგიერთი მუხლი შეუძლებელს ჰხდის სახლის აშენებას, ისედაც უსაქმოდ დარჩენილ მშიერ ხალხს სამუშაო სულ ესპობა და უფრო გაჭირვებაში ჩავარდება. რათა ხალხს საშუალება მიეცეს სახლების აშენებისა და უსაქმოდ დარჩენილთ სამუშაო გაუჩნდეთ, შესაძლებლად ვსცანით საქმის ნარდად აღება და დღიური მუშაობა. ვინც ნარდად საქმე აიღოს, თვით დაიჭიროს მუშები საქმის გასაკეთებლად; მას არ უნდა შეეძლოს საქმის სხვაზე გადაცემა. სამუშაოს დრო რვა საათით განისაზღვრება. ამასთან საზოგადოება სთხოვს ყველა ჩამორჩენილ ამხანაგებს შემოერთებას თავიანთ სურვილით. წესდება დამტკიცების შემდეგ გაზეთებში დაიბეჭდება. **ზაქარია.**

**სამიკიტნოების, სარდაფების და სხვ. მოსამსახურენი.** ჩვენ რომ გავიფიცენით, შემდეგი მოთხოვნილებანი წარვადგინეთ: 1. ცხრა საათის სამუშაო დღე; 2. მუშაობა მორიგეობით; ვაჭრობა კვირა-უქმე დღეებშიაც, გარდა შობისა, ახალ წლისა, ნათლის ღებისა, და სადილისთვის განსაზღვრული დრო ერთი საათი; 3. ღვინის საწყობ ფირმებში, როგორც არის, მაგ., „კახეთში", „ძმობაში" და სხვა დიდს ფირმებში, კვირაობით მოსამსახურენი არ იმუშავებენ, ხოლო სავაჭროს პატრონებს ნება ეძლევათ გაიღონ და ივაჭრონ თითონვე; ვისაც ეძლევა 5—10 მანეთამდე ჯამაგირი, მას მიემატოს 30%; ვისაც ეძლევა 10—20 მ.—25%; ვისაც ეძლევა 30—40 მ.—10%; 4. ჯამაგირები ყოველთვის ბოლოში მოგვეცეს; 5. ავადმყოფობის დროს მოსამსახურეს უნდა მიეცეს წამლისა და ექიმის ფული ორი თვის განმავლობაში; ადგილი უნდა შეენახოს და ჯამაგირი კი ერთი თვისა მიეცეს; 6. მოსამსახურეებს მშრალი და სუფთა ბინა მიეცეს; 7. წელიწადში ერთი თვე თავისუფლება ჯამაგირის შენახვით; 8. წინსაფარები და ტილოები ყოველთვის სუფთა იყოს ხოლმე; 9. აბანოს ფული თვეში ათი შაური; 10. 16 წლისაზე პატარა მოსამსახურეთ აყვანა აკრძალულია; 11. უჯამაგიროდ მოსამსახურის აყვანა არ შეიძლება; 12. ზრდილობიანი მოპყრობა; 13. მოსამსახურეების დათხოვნა და მიღება თვით მოსამსახურეების საქმეა; ჯამაგირების დანიშვნა კი—სავაჭროს პატრონისაა. თუ პატრონმა მოსამსახურე დაითხოვა, ვალდებულია სამი თვის ჯამაგირი მისცეს: 14. მოისპოს ისეთი მუშაობა, რომელიც მოსამსახურეთა პირდაპირ მოვალეობას არ შეადგენს, მაგ., ხურჯინებით, ტიკებით ან ყუთებით ღვინის ზიდვა; 15. სავაჭროებში ყოველ-გვარი გარყვნილება მოისპოს; 16. თუ გაფიცვის დროს 6 კაცი დაითხოვეს, გაფიცულებს სრული ჯამაგირი უნდა მიეცეთ; 17. დახლიდარისა და მართველის აყვანა და დათხოვნა სავაჭროს პატრონის საქმეა; 18. მოსამსახურე მოვალეა არ იქურდოს, არ ილოთოს და მუყაითად იმუშაოს; თუ ამ პირობებს არ შეასრულებს, უნდა დათხოვნილ იქნას.

ასეთი მოთხოვნილებანი იქმნა შემუშავებული ტფილისის სირაჯების, სამიკიტნოების, სარდაფებისა და ლუდხანების მუშათა მიერ, მაგრამ ამ მოთხოვნილებებს სავაჭროს პატრონები არ ასრულებენ; ზოგი მათგანი გაიძახის, მე „დაშნაკცაკანი" ვარ და ჩემი მუშებიც „დაშნაკცაკანები" არიანო; ზოგი ამბობს, მე მუშებად ნათესავები და ბიძაშვილები მყავსო და სხვა. მოსამსახურენი ამბობენ, პატრონებს ვინც უნდათ, ის იყვნენ, მაგრამ მუშების მიერ შემუშავებული და პატრონების მიერ მიღებული მოთხოვნილებანი კი უნდა შეასრულონ. ისინი ვალდებულნი არიან ასე მოიქცნენ, განსაკუთრებით მიხეილ იანკაროვი, სარქის მაილოვი და სტეფანე ხაჩატუროვი.

**მუშა.**

**რესტორანის დახურვა.** ავლაბარში ივანე ჩიჩკინოვის და ნიკოლოოზ ტიტინოვის საამხანაგო რესტორანში 29 მაისს გაიფიცნენ მოსამსახურენი. წარუდგინეს რესტორანის პატრონებს თავიანთი მოთხოვნილებები. რესტორანის პატრონები მუშებს არ აკმაყოფილებდნენ, მაგრამ მუშები განაგრძობდნენ თავიანთ საქმეს. ბოლოს, 11 ივნისს რესტორანის პატრონები იძულებულნი გახდნენ დაეკმაყოფილებია მუშები ოთხი თვის ჯამაგირით და დაეკეტათ რესტორანი სამუდამოდ. **მუშა ნ. ქორიძე.**

# რუსეთი

✦ **პატიება.** ვარშავ ქუტომირის საოლქო სასამართლომ ვოლინის გუბერნიის 14 გლეხს მიუსაჯა ღირსება-უფლების ჩამორთმევა და 8 თვით დაპატიმრება ებრაელთა აკლებისა და მათი ქონების დატაცებისთვის. გლეხებმა ხელმწიფე იმპერატორს თხოვნა მიართვეს და პატიება სთხოვეს ხელმწიფე იმპერატორმა ყველას აპატია დანაშაული და ღირსება-უფლება დაუბრუნა.

✦ **საქმე სოც. დემოკრატ. ფრაქციისა.** 5 ივნისს გამომძიებელი შეუდგა სოც. დემოკრატ. ფრაქციის დატუსაღებულ დეპუტატებისაგან ჩვენების ჩამორთმევას. ბრალდებულთ ჩვენებაზე უარი განაცხადეს.

✦ **კარპოვიჩის გაქცევა.** პეტერბურგიდან დეპეშით აცნობებენ გაზ. „რუსკ. ვედ."-ს, რომ მინისტრის ბოგოლეპოვის მკვლელი კარპოვიჩი კატორგიდან გაქცეულა.

✦ **პოლიციის დეპარტამენტის განკარგულება.** პოლიციის დეპარტამენტმა განკარგულება გაუგზავნა ადგილობრივ ადმინისტრაციას, რომელთაც ავალებს გამოუგზავნოს თითო ცალი პროკლამაცია, რომელიც გამოცემა სათათბიროს დაშლის შესახებ. დეპარტამენტს სურს ცნობები შეკრიბოს, თუ როგორ იმოქმედა ხალხზე სათათბიროს დაშლამ.

✦ **არა ჩვეულებრივი სურათი.** 5 ივნისს პეტერბურგში მდინარე ნევას ნაპირას გამვლელებმა შემდეგი გულის ამაჩუყებელი სურათი დაინახეს. ტროტუარზე მუხლ-მოყრილნი იდგა კარგად ჩაცმული ახალგაზდა ქალი ორი ბავშვითა და პეტრე-პავლეს ციხისკენ პირ-მიქცეულნი მხურვალედ ლოცულობდნენ. ათი წუთის შემდეგ ისინი წამოდგნენ და გზას გაუდგნენ. მაყურებლებმა ის აზრი გამოიტანეს, რომ პეტრე პავლეს ციხეში ამ ქალებისა და ბავშვების ვინმე მახლობელი იქნებოდა დამწყვდეული.

✦ **ცნობები ციმბირში გადასახლებულთა შესახებ.** გაზეთ „ტოვარიში" ციმბირიდან საინტერესო ცნობებს აწვდიან გადასახლებულთა შესახებ. ბოლოს დროს ძალიან იმატა თურმე გადასახლებულთა რიცხვმა. ყოველ კვირას მიდის დიდი პარტიები კატორგაში გაგზავნილთა, გადასახლებულთა და ადმინისტრატიულად გაგზავნილთა. მარტო ტიუმენის ცენტრალურ საპატიმროში ამ წლის პირველ სამ თვეში მიუყვანიათ 451 კაცი, შუათანა აღრიცხვით თვეში 200-მდე, ხოლო წელიწადში 2000-მდე. ამ 451 კაციდან, ადმინისტრატიულ წესით გაგზავნილი ყოფილა 207 კაცი, გადასახლებული—174, კატორგაში გაგზავნილი—51, დანარჩენთა შესახებ ცნობები არ არის. პარტიებს შორის გაგზავნილები ასეა განაწილებული:

ს.-დემოკრატი—146
ს.-რევოლიუც.—101
პოლონ. სოც. პარტ—26
ანარხისტები—24

დანარჩენები სხვა და სხვა პარტიებისაა, ზოგი სულ უპარტიო. საინტერესოა ეროვნული განაწილება გადასახლებულთა:

| | |
|---|---|
| რუსები — | 22 (3 50%) |
| ლატიშები— | 74 (16,4%) |
| პოლონელი — | 53 (11,7%) |
| ებრაელი — | 51 (11 3%) |

დანარჩენი 47 კაციდან უმეტესობა ქართველია, შემდეგ სომეხი, ესტონელი და სხვა. ს.-დემოკრატები სჭარბობენ ებრაელთა, ლატიშთა და ქართველთა შორის, პოლონელებში მეტი პოლონ.-სოციალისტური პარტიისა, ხოლო რუსებში ს.-რევოლიუციონერები სჭარბობენ. გადასახლებულთა 80%-ის წლოვანებაა 16—30 წელიწადი. ადმინისტრატიულის წესით გაგზავნილებს უმთავრესად სამხრეთ ციმბირში ასახლებენ, გადასახლებულთ—ჩრდილოეთისაში.

## წერილი რედაქციის მიმართ

ჩვენ, რკინის გზის საქონლის სადგურის ოცდა ერთი მუშა რამდენი ხანია უსაქმოდ ვართ დარჩენილნი. სხვა და სხვა დროს ზოგი ჩვენთაგანი ავად იყო და ამიტომ დაანება სამსახურს თავი, ზოგმა თავის უფრო გაჭირვებულ ამხანაგებს დაუთმეს ადგილი, ზოგი კი სხვა და სხვა მიზეზის გამო ქალაქიდან წავიდა. ეხლა, როდესაც ჩვენ უკიდურეს გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავცვივდით, რამდენჯერმე მივმართეთ ამხანაგებს, მაგრამ იმათ აღარავითარი უფრადღება არ მოგვაქციეს. ჩვენ ვხედავდით, რომ ადგილი მალიმალ თავისუფლდებოდა, მაგრამ ჩვენ კი მაინც არ გვიღებდნენ. გვპირდებოდნენ, პირველი თავისუფალი ადგილი თქვენი იქნებაო, მაგრამ მეორე და მესამეც აღარ გვაღირსეს. რად სჩადიან ასე ჩვენი ამხანაგები? რაზედ გვტოვებენ მშივრებს ან ჩვენ და ან ჩვენ ცოლ შვილს?

უსაქმოდ დარჩენილ მუშათა მონდობილობით **გიორგი ქიზიყელი.**

# დეპეშა

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

13 ივნისი

**მოსკოვი.** ხელმწიფემ გააბედნიერა საეროობო კრების თავმჯდომარე შემდეგის დეპეშით: „ვმადლობ საეროობო კრების წევრთ გამოთქმულ გრძნობებისათვის, კრება შეიტანს საეროობო დაწესებულებათა თვით-ცნობიერებაში მტკიცე რწმენას, რომ ადგილობრივ საჭიროა შეერთება და დაუღალავი შრომა, რათა წმინდა რუსულ საფუძველსა ზედა განმტკიცდეს ჩემ მიერ წინასწარ დასახული განახლება ხალხის ცხოვრებისა. **ნიკოლოოზ.** კრებამ დაადგინა, ეს დეპეშა დაიბეჭდოს და ყველა ერობას გაეგზავნოს.

**ბახმუტი.** სოფ. ჩასოვიარში ღამე კოვალევსკის ქარხანას ცეცხლი წაეკიდა. ზარალი 200,000 მანეთამდეა.

**ლოძი.** ბალუტაში სახიკვდილოდ დასჭრეს ერთი მუშა.

**ვარშავა.** კელეცკის მაზრის სოფ. კენცინაში იარაღის დიდი საწყობი აღმოაჩინეს. წაიღეს 357 ბრაუნინგი და 1800 მაუზერის პატრონა.

**ვინდავა.** აღმოაჩინეს სარევოლიუციო კომიტეტი. 15 მეთაური დააპატიმრეს, იმათ შორის კომიტეტის [illegible]. [illegible]ვნეს იარაღის დეპო, შრიფტი, ჰექტოგრაფი, კასსა და [illegible] ლიტერატურა.

**ზლოჩიში.** საპატიმროდან გაიქცა ოთხი ტუსაღი. მათ დიდი დანაშაულება ბრალდებოდა.

**ლოძი.** მოხდა კრება ბამბეულობის ქარხნის პატრონთა კავშირის ხუთი ქარხნის მუშებისა. გამოიტანეს რეზოლიუცია, რომლითაც პროტესტს უცხადებენ ტერრორს, მიმართულს მუშაობის ხელმძღვანელთა წინააღმდეგ. რეზოლიუციაში ნათქვამია, ქარხნის ადმინისტრაციის პირად უზრუნველ-ყოფას დავიცავთ, მხოლოდ ქარხნის გარეშე მომხდარ ტერრორისტულ აქტის პასუხის მგებლობას ვერ ვიკისრებთო. ვეცდებით ეკონომიურ ტერრორსაც წინააღმდეგობა გაუწიოთო. რეზოლიუცია დელეგატების ხელით ბერლინში გაგზავნეს.

**ტროიცკოსავსკი.** 11 ივნისს კიახტაში პირველად მოვიდა თავ. ბორგეზეს ავტომობილი, რომელიც პეკინ-პარიზს შორის ავტომობილების გაჯიბრებაში იღებს მონაწილეობას.

**ლონდონი.** პეკინიდან მოსულ ცნობით ამბოხება კვანტუნში ჩააქრეს. წეს-რიგი აღადგინეს. ნიუ-იორკიდან იუწყებიან, რომ 11 ივნისს ღამე ნიუ-იორკ-ნიუ-ჰავენის გზის გარტფორის სადგურთან სახალო მატარებელი მუშათა მატარებელს დაეჯახაო. მოკვდა 10 კაცი და დაიჭრა 35.

საზოგადოებათა პალატა. კემპბელ-ბანერმანმა რეზოლიუცია შეიტანა ლორდთა პალატის რეფორმის შესახებ. ჯერ მან აღნიშნა კანონ-პროექტის საფუძვლიანობა და ბოლოს სთქვა, რომ საზოგადოებათა პალატა ერთად-ერთი უნდა იყოს ხალხის სურვილის გადაწყვეტის გამომხატველიო.

**ნარბონნა.** მევენახეობის დამცველ კომიტეტის კრებაზე მარსელენ ალბერმა განაცხადა, რომ კლემანსო თანახმაა დაპატიმრებულები განათავისუფლოს, შემწეობა მისცეს სოფლის მეურნეთ და მევინეებს და ჯარიც უკანვე გაიწვიოს, თუ მებრძოლნი კანონიერებას დაუბრუნდებიანო. კრებამ დაადგინა, გააგრძელოს ბრძოლა მშვიდობიანობის საშუალებით, სანამ მათ მოთხოვნილებას არ დააკმაყოფილებენ. ამასთან წინადადება მისცა კომიტეტებს, შეუერთდნენ ამ რეზოლიუციას.

**ვილნა.** მაიგონის სახლში, ნოვგოროდის ქუჩაზე, სადაც საკომერციო სასწავლებლის ორი მოსწავლე სცხოვრობდა, ნახეს ერთი დიდი ყუმბარა და ორი რევოლვერი. მეიგონი დააპატიმრეს. მოსწავლენი მიიმალნენ.

**რამიჟილოვი.** 12 ივნისს ღამე კრემენეცის გზაზე უცნობები სახლში შეუვარდნენ ჩერნიხს, მოჰკლეს მისი ცოლი და შემთხვევით შესული ერთი ებრაელი, დასჭრეს თითონ ჩერნიხი, მისი ვაჟი და რძალი. დანარჩენებმა გაქცევა მოასწრეს. მერე უცნობებმა სახლი გაძარცვეს, ცეცხლი წაუკიდეს და მიიმალნენ.

**ვენა.** დეპუტატთა პალატის პრეზიდენტად აირჩიეს ვეისკირხნერი.

**მოსკოვი.** ერობის წარმომადგენელთა კრებამ განიხილა საკითხი იმის შესახებ: ერობაში მიიღონ მონაწილეობა მხოლოდ საეროობო გადასახადების გამღებებმა თუ სხვებმაცაო. კრების აზრი ორად გაიყო. ერთნი ამბობდნენ, რომ საეროობო არჩევნების დროს საყოველთაო საარჩევნო წესით უნდა ვიხელმძღვანელოთო, მეორენი პრაქტიკულად ამის აღსრულების დღეს შეუძლებლად სცნობდნენ. ხმის უმეტესობით მიღებულ იქნა ცენზი.

საღამოს სხდომაზე კრების უმრავლესობამ შეუძლებლად სცნო საეროობო საარჩევნო უფლება დაამყაროს ქონებრივ და გადასახადის ცენზის სისტემაზე. ამნაირად საკითხი, მისაღებია თუ არა მთავრობის მიერ წარდგენილ ცენზიანი ნორმები, თავის თავად გაბათილდა. კამათი გამოიწვია გრ. ბობრინსკის მიერ შეტანილმა რეზოლიუციის რედაქციამ ანარქიის საწინააღმდეგოდ სასტიკ ზომების მიღების საჭიროების შესახებ. პრინციპიალურად ყველანი თანახმანი იყვნენ, რომ საჭიროა ანარქიის წინააღმდეგ ბრძოლა და ტერრორი დასაგმობია, მაგრამ კრების ერთმა ნაწილმა კენჭის ყრაში მაინც მონაწილეობა არ მიიღო. ერთმა ნაწილმა საბჭოს მიერ მიღებულ რეზოლიუციას დაუჭირა მხარი, ერთმა ნაწილმა კი რეზოლიუციის შესწორება მოითხოვა. რეზოლიუციაზე კამათი კიდევ ექნებათ.

**კრასნოიარსკი.** ღამე საპატიმროს მახლობელ სადგომებში სროლა ასტყდა, დარაჯებმაც სროლა ასტეხეს. მსროლელნი მიიმალნენ. სროლის დროს შემთხვევით მოჰკლეს ერთი მჭედელი. სროლის ატეხის ნამდვილი მიზეზი არ იციან, ფიქრობენ, რევოლიუციონერებმა დემონსტრაცია გამართესო.

**პეტერბურგი.** უმაღლესად დამტკიცებულ სახელმწიფო საბჭოს დადგენილებით, კამერჰერი გურკო სისხლის სამართლში

მისცეს და დროებით დაითხოვეს შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგის თანამდებობიდან.

**პარიზი.** დაბეჯითებით ამბობენ, რომ ამბოხებაში მონაწილეობის მიმღები 17 პოლკის 400 ჯარის კაცი კრეისერებზე უნდა ჩასხან და ტუნისში გაგზავნონ.

რედაქტორ-გამომცემელი **ე. ავალიშვილი.**

## ღია წერილი

### ვაჭართა მიმართ

რადგან ამ უკანასკნელ ხანებში ხილეულ და მადნეულ წყლის ხელოვნურად მომზადებაში თვალ საჩინოდ იმატა ფალსიფიკაციამ კონკურენციის წყალობით, ამიტომ მრავალმა წვრილმა მოვაჭრემ განიზრახა ხსენებულ წყლების მოსამზადებლად ქარხნის გახსნა ტფილისში „პროგრესი“-ს ფირმით; დამფუძნებელ ამხანაგებად მოჰყვა 13 კაცი წვრილი ვაჭარი; მათ შორის ხელ შეკრულობა ურთი ერთ ნდობაზე დამტკიცებულ იქმნა კანონიერად, გამოუშვეს ყველასათვის ხელ-მისაწდომი ხუთ მანეთიანი პაიები 6000 მან., რომლის გასაღების შემდეგ უნდა დაწყებულიყო ქარხნის წარმოება, მაგრამ გამოჩნდა წვრილ ვაჭართა „მეგობარი“ სოსიკო მერკვილაძე, რომელმაც უნდობის თვალით შეხედა ამ საქმეს და შემოგვწამა შანტაჟისტობა, რისთვისაც გააფრთხილა ყველა მსურველი ვაჭარი არ აიღონ პაიებიო. გულბრყვილო ვაჭრებმაც დაუჯერეს მას და პაიები აღარ გაიყიდა ს. მერკვილაძის წყალობით, რომელიც ქუჩა-ქუჩა კაცებს დაარბევინებდა ვაჭრების გასაფრთხილებლად და ჩვენთვის შეურაცხყოფის მისაყენებლად. რაშიაც თითონ იყო დახელოვნებული, ჩვენც ის ვეგონნევით; ამას თავის დროზედ გამოვაშკარავებთ, თუ ვინოცობაა მოინდომა თავისი გამართლება. ჩვენ 13-მა კაცმა, ვიყიდეთ ერთი ქარხანა თავის გამართულობით 1200 მანეთად იმ იმედით, რომ პაიები გაიყიდებოდა, გავადიდებდით ამ ქარხანას და შევუდგებოდით წარმოებას მაგრამ რადგანაც ს. მერკვილაძის საქციელმა იმოქმედა ვაჭრებზედ, და მსურველებმაც კი აღარ აიღეს პაიები, ისევ გავყიდეთ—800 მ. მოგებით, რომელიც ინახება ამხანაგობის სახელზედ და ველით პაიების გაყიდვას. თუ ენკენისთვემდის შესრულდება საჭირო 6000 მ., მაშინ მოხდება ლიკვიდაცია და ყველას დაუბრუნდება შეტანილი ფული. ამიტომ, გაფრთხილებთ რა ვაჭრებს აღარ აჰყვნენ ამნაირ ენას საზოგადო საქმის გაკეთებაში, ვთხოვთ მსურველთ აიღონ პაიები, რომელიც იყიდება აბელ ულუხანოვთან, სასტუმრო „ვერსალის“ პირდაპირ. ს. მერკვილაძეს კი ვიწვევთ სამედიატორო სამართალში ჩვენის შანტაჟისტობის დასამტკიცებლად. წინააღმდეგ შემთხვევაში თავის მოქმედებით ჩვენთვის მოყენებულ ზარალს მოვითხოვთ.

ალექსანდრე მერაბოვი, მიხაკო პაპუაშვილი, ალექს. სტეფანოვ, აბელ ს. სულხანოვი, დათიკო ბეგიჯანოვი, ივანე ხახუტოვი, მიხეილ ოდიბერიძე, შიო მიქაძე, ბაგრატ ნურალოვი. **С. Микирта,** ნ. კობახიძე. (1—125—1)

## ღია წერილი. გ. მართაგაძეს!

გაზეთ «გრიგალის» № 9, მოთავსებული იყო თქვენი წერილი, რასაც მე მიხსენიებთ ტყავის გამძრობად. გაიძვერად; ვითომ მე გამეტყავებინოს სულით ხორცამდე ასლან კალანდაძე (რომელთანაც მე მქონდა აღებული რესტორანად მამა-დავითის მთაზედ) და რის გამო მე მქონდა გამოცხადებული ბოიკოტი, სხვათა შორის მოწმეებად ასახელებთ ბ-ნთ ვასილ ბალანჩივაძეს, ნეოფიტე და გრიგოლ ხუნდაძეებს და ბოლოს კიდევ ამტკიცებთ ჩემ ჩარჩობას, მე ვითომ როდესაც გ. გაბაშვილის სახლი მქონდა აღებული იჯარით, ქირებს ფასი აუწიე და მით შევაწუხე მდგმურები და სხვანი. გ. მართაგაძევ! თქვენი წერილი თავით ბოლომდე უმგზავსო ცილის წამებაა ჩემს წინააღმდეგ, გაიძვერული კილოთი შეთხუზული. მე რომ გ. კალანდაძე არ გამიტყავებია, ეს იქიდანა სჩანს, რომ ჩემი ოფლით აშენებულს რესტორანს ჰფლობს გ. გაბაშვილი, კალანდაძის ოინბაზობით და ხრიკების წყალობით. ტყუილათ გინებებიათ ბ-ნ კალანდაძის ვექილობა ეგრე ადრიანად; ჯერ ჩემი საქმე კალანდაძესთან არ დამთავრებულა; აგერ მეოთხეჯერ არჩევენ მედიატორეები. შემდეგ გაიგებთ ბ. კალანდაძის საგმირო საქმეებს, რაც იმან მე მომაყენა მატერიალურად და ზნეობრივად. რაც შეეხება თქვენ მიერ დასახელებულ მოწმეებს, იმათაგან მე მაქვს მიღებული წერილები და ძალიან გაკვირვებულნი არიან თქვენის ქცევით.

გ. კალანდაძემ გამოუგზავნა წერილი „გრიგალის“ რედაქციას, მაგრამ არ ინებეს მისი დაბეჭდა. ბოიკოტის შესახებ უნდა მოგახსენოთ, რომ რედაქცია შეცდომაში იყო შეყვანილი და ჩემი მტრის მიერ იყო შეთხუზული (იხილე «მოგზაური» № 33, 34 ჩემი წერილი ბოიკოტის შესახებ).

ბ. მართაგაძევ? რადგანაც თქვენ ჩირქი მოსცხეთ ჩემს სახელს, პატიოსნებას, ტყუილ საბუთების მოყვანით, ამიტომ თქვენ გიწვევთ სამედიატორო სამართალში, ჩემის პატიოსნების აღსადგენად. თორემ იძულებული ვიქნები მივმართო სასამართლოს. პასუხს ველოდები ერთი კვირის განმავლობაში. **დიმიტრი ხუნდაძე.**

P. S. ჩემი ადრესი: ტფილისი, ყორღანოვის ქუჩა № 4. ჩემი პასუხის დაგვიანების მიზეზი იყო გაზეთ «გრიგალის» დაკეტა და ბოლოს „ახალ დროებისა“, სადაც აღმითქვეს დაბეჭდა, მაგრამ, ჩემდა საუბედუროდ, ისიც დაკეტეს.

(1—128—1) **დ. ხ.**

# განცხადებანი

გამომცემელთა საყურადღებოდ.

ქართულად გადმოვთარგმნე და დასაბეჭდად მზადა მაქვს **არტურ შნიცლერის** სახელ განთქმული ნაწარმოები:

# ფერხული

**ათი დიალოგი.**

ამ თხზულებამ აალაპარაკა მთელი ევროპა და რუსეთი. განათლებულ ქვეყნების კრიტიკა აღტაცებით მიეგება ამ ჩვენის დროის „დეკამერონს“ და დიდებულ წიგნად აღიარა. აი, რასა სწერს ერთი გერმანული გავლენიანი გაზეთი:

«მარტივისა და მხატვრულის ენით ბ-ნი შნიცლერი მოგვითხრობს სხვა და სხვა წრისა და წოდების ქალთა და ვაჟთა სქესობრივ დამოკიდებულებას, აღგვიწერს მათ თვალთ-მაქცობასა და გარყვნილებას, მათ სულიერსა და ხორციელ დაკნინებას. როსკიპი და სალდათი, სალდათი და მოახლე, მოახლე და მისი ბატონი—ჭაბუკი, ჭაბუკი და ქმრიანი ახალგაზდა ქალი, ეს ქალი და ქმარი, ქმარი და სატრფიალო არსება, სატრფიალო არსება და პოეტი, პოეტი და მსახიობი—ქალი, მსახიობი ქალი და თავადი შეადგენენ ერთ **ფერხულს,** რომლის უკანასკნელ კვანძად გამოდიან თავადი და როსკიპი. ჩვენ წინ იხდება ფარდები სხვა და სხვა გვარ მყუდრო საწოლთა და გვესმის უუსაიდუმლოესნი გულისთქმანი ადამიანთა. სიყვარული პიტალო და კონკრეტიული, ათ გვარად დასურათ-ხატებული, აი—თემა ამ წიგნისა. მიუხედავათ იმისა, რომ ყველაფერი სინამდვილითაა აწერილი და მომქმედთა მიერ ნათქვამ-ნაგრძნობი უაღრესს სისწორითაა გადმოცემული,—ერთ უწმაწურ და უხეშ სიტყვასაც ვერ გაიგონებთ, რაც შეადგენს განსაკუთრებულ და გასაოცებელ ღირსებას ამ წიგნისას. ვითომდა შეყვარებულ ქალ-ვაჟთა ოინეში, თვალთ-მაქცობა და ხრიკები შეიძლება ჯერ ისე არავის დაესურათებინოს, როგორც ეს მოახერხა სულის დოსტაქარმა შნიცლერმა, ეხება რა ისეთს სფერას ჩვენის ცხოვრებისას, რომელიც ხელოვნებისათვის დღევანდლამდე terra incognita იყო».

„ფერხული“ გერმანულ ენაზე სულ მოკლე ხანში ოცდა-რვაჯერ გამოიცა.

(2—უ.—1) **ია ეკალაძე—ცინცაძე.**

# კლინიკა

კბილის ავადმყოფობისა

## ლ. შტრეიხერისა

**კბილის საექიმო სკოლასთან**

ერევნის მოედანი (პუშკინის ქ. 3).

ავადმყოფების მიღება დილის 9-დან სალამოს 7 საათამდე. კვირაობით 9-დან 1 საათამდე

**ფასი მკურნალობისა:**

| | | |
|---|---|---|
| საექიმო რჩევა საზოგადოდ . . . . | | 20 კ. |
| ერთი კბილის ან ძირის ამოღება. . . | | 20 „ |
| კბილის გაწმენდა . . . . . . . . | | 50 „ |
| „ „ არის უფრო ძვირიც | | |
| პლომბა გუდაპერჩისა . . . . . . . | | 50 „ |
| „ „ ცემენტისა. . . . | 1 მ. | |
| „ „ მეტალიური. . . . | 1 „ | |
| „ „ ვერცხლისა ამალგამ. | 1 „ | 50 „ |
| „ „ ემალისა . . . . . . | 1 „ | 50 „ |
| „ „ ფაი ფურისა . . . . | 3 „ | |
| „ „ არის უფრო ძვირიც 5 მან.-მდე. | | |
| „ „ წმინდა ოქროსი. . . | 3 „ | |
| „ „ უფრო ძვირიც. | | |
| ხელოვნ. კბილები კაუჩუკზე 1 კბილი: | | |
| „ „ დიოტორიტიული. . | 1 „ | |
| „ „ კრამპონისა . . . . | 1 „ | 50 „ |
| ხელოვ. კბილ. კაუჩუკზე ოქროს კავებით: | | |
| „ „ თითო კავი . . . . | 1 „ | |
| შტიფტის კბილები ოქროზე . . | 3 „ | |
| კორონკა ლოგანისა . . . . . . | 4 „ | |
| კორონკა ოქროსი ან პლატინისა პირობისამებრ | | |
| ამოღება კბილისა უტკივილო ანესტეზიით . . . . . . . . . | 1 „ | |
| საზოგადო ანესტეზიით—პირობისამებრ | | |
| აპარატი კბილების გასასწორებლად | | |
| ობტურატორი მაგარ ან რბილ სასის შესავსებად—პირობისამებრ. | | |
| და სხვა ოპერაციები—პირობისამებრ. | | |

(100—ბუხ.—1)

1—2 მან. აიღებს მსურველი დღეში.



# საჭირბა

**თანამშრომელნი ორისა ვე სქესისა**

საქსოვ სამუშაოსთვის ჩვენ მსწრაფლ-მქსოველ მანქანებზე. რისამე წინდაწინვე ცოდნა საჭირო არ არის. მანძილს მნიშვნელობა არა აქვს. საქონელს ჩვენ თვითონ ვყიდით. პირობებს უფასოდ უგზავნით.

## პირველი კავკას. ამხანაგობა

მსწრაფლ-მქსოვ მაშინებისა შინაურ წარმოებისთვის.

ადრესი: Тифлисъ, Верійскій спускъ д. 15 и 5. (100—71—29)

პირველი კერძო სამკურნალო

# დოქ. ნავასარდიანისა

დაარსებულია 1880 წ.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ყოველ დღე, კვირეებს გარდა.

**ექიმები:**

**ზ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგ ვენერიული (სიფილისი) და საშარდე.

**გ. ზ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.

**ფ. ი. ზაზანაშოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვების.

**ზ. გ. ავეტიზიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**გ. ი. გმელიშვილი:** 1—2 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 1—1½ ს. შინაგანი და საბავშვო.

**ა. ი. შხერბინინა:** 1½—2 საათამ. საბებიო და ქალებისა.

**გ. ი. გურგენოვი;** 1—2 საათ. ქალებისა და საბებიო.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ. კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი

მკურნ. დოქტორი **ზ. ა. ნავასარდიანი**

(150—ხალ.—92)

**მხოლოდ** იმის წყალობით, რომ 25 წლის პრაქტიკა მქონდა დათვალყურს ვადევნებდი, უმაღლესს კულტურამდე განვავითარე **კეფირი.** ყველას შეუძლიან დარწმუნდეს, რომ

# კეფირი

## ო. კორონისა

კონკურენციის გარეშეა. კარგის თვისებისთვის იგი მოწონებულია ტფილისის სამკურნალო განყოფილებისაგან და დაჯილდოვებული სამის მედალით სამს გამოფენაზე. მიღებული აქვს აგრეთვე მრავალი მადლობა მომხმარებელთაგან. **კეფირი** ჩემის სახელოსნოსი უმატებს სიმძაფეს და გამოლეულ ძალას, აგრეთვე მკურნალობს: სისხლნაკლებობის, კუჭის კატარის, სიყვითლის, სურავანდის და ჭლექის დროს. ამშვიდებს ნერვებსაც.

ჩემ დაწესებულებაში შეიძლება მსურველმა მიიღოს

ლაქტობაცილინის რძე,

მომზადებული პროფ. მეჩნიკოვის საშუალებით.

5 აპრილიდან მზადდება

**კუმისი**

მსურველთ შეიძლება სახლში გაეგზავნოთ. ადრესი: ლორის-მელიქოვის ქ., სემინარიის პირდაპირ.

(50—ხალ.—28) პატივ. **ო. კორონა.**

# იძლევა ქირით

**მეპურის დუქანი,** თავის გამართულობით. იქვე ქირავდება ყოველგვარ სავაჭრო დუქანი.

დიდუბე, ბათუმის ქ. № 3. (2—126—2)

**კურსები კავკასიაში.**

ერთად ერთი

**ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს განკარგულებაში მყოფი**

ბუხჰალტერიისა და საკანტორო ცოდნის კურსები

# გ. ა. კირაკოზოვისა

(ბათუმი, მორსკაია № 11)

ამ კურსებზე ორისავე სქესის მოსწავლენი იძენენ საკომერციო მეცნიერების საგანთა სრულ სპეციალურ ცოდნას. კურსებზე ასწავლიან: ბუხჰალტერიას: სამმაგ და ორმაგ. იტალ., სარკინისგზო ანგარიშს და საკით საქონლის გადატან-გადმოტანის შესახებ, საკომერციო არითმეტიკას, საკომ. ეკონომიას, საკომ. კორესპონდენციას, საკომ. კანონთ ცოდნას, საკომ. გეოგრაფიას და ისტორიას, არითმეტიკას ჩოთქზე, კალიგრაფიას, სტენოგრაფიას და წერას მაშინაზე.

კურსებთან არის: მცირედ მომზადებულთათვის კურსები რუსულ ენისა, არითმეტიკისა და სხ., კურსები უცხო ენებისა და ხელმისაწვდენი პანსიონი. სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდან. ცნობები და პროგრამა კურსებისა—უფასოდ. მსურველთა და თხოვნების მიღება ყოველ დღე 8—1 ს. და 4—7 ს. კურსების კანცელარიაში განზრახულია უმაღლესი საკომერციო კურსები. (10—124—1)

**რუსულ თვით-შემმოწმებულ ბუხჰალტ**

# გაფრთხილება

**სავაჭრო სახლის**

# ნ. ი. ბოზარჯიანცის და შვ.

თამბაქოს ქარხნისაგან (არსებობს 1858 წლ. ტფილისში)

რადგან დღემდე კიდევ სარგებლობენ ჩვენის პაპიროსების **„სიმპატია“** 10 ცალი 5 კაპ. და № 8—10 ც. 5 კაპ., აგრეთვე № 7/16—10 ც. 3 კ. სახელით და ჰყიდიან ყალბ პაპიროსებს, უმორჩილესად ვთხოვთ თამბაქოს მომწევთ, ყურადღება მიაქციონ ჩვენ საქარხნო მარკას

და გვარს **ნ. ი. ბოზარჯიანც და შვ.**

ყალბ პაპიროზის დამზადებელთა წინააღმდეგ სასამართლოს მივმართავთ. (10—130—2)



კომისიონერი მიწათ-მოქმედების და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროსი

# მ. ქ. ფრიდონოვი

**ტფილისი, სერგიევის ქუჩა,** № 11.

წვდის მსურველთ ვენახისა და ბაღების სამკურნალო წამლებს:

შაბიამანს ინგლისის საუკეთესო მარკისას; გოგირდს გაუმჯობესებულს საკუთარ საშუალებით; შესასხურებელს **ვერმორელის** სისტემისას; „ტოროპილებს“, საბერველებს, აგრეთვე ყოველგვარ იარაღს საბაღო და სასარდაფო მეურნეობისათვის, მაგალითად: ტუმბოებს, ფილტრებს, საქაჯავს, სეკატორებს, დანებს და სხვას.

შეიძლება დაკვეთა ხილის ხეებისა საკუთარ სანერგედან სადგურ **„ხურაზთან“**. ქართული კატალოგები მსურველთ სახლში ეგზავნება. განყოფილება **ქუთაისში „კოლხიდასთან“.** (50—751—45)

ბეჭდვითი საქმის მუშაკთა პროფესიონალური საზოგადოების გამგეობა ამით აცხადებს, რომ მან გახსნა

# კანტორა

სასახლის ქუჩაზე, თავად-აზნაურობის ქარვასლაში, მეორე სართულზე, № 119, სადაც მსურველთ შეუძლიანთ ჩაეწერონ საზოგადოების წევრათ. აქვე უნდა ჩაეწერონ უადგილო მუშები ამ ხელობისა.

კანტორა ღია არის დილის 9 საათიდან სალამოს 7 საათამდე.



# ფეხსაცმელი

პეტერბურგის სამექანიკო წარმოების ამხანაგობისა,

შეკერილი, რანტიანი და ვინტებზე. მკვიდრი, კოხტა და მსუბუქი ყოველ ფასონისა.

**რანტიანი:** პარიზისა (მოგრძო) და ამერიკის ფასონებისა.

**იყიდება ტფილისსა და ამიერ-კავკასიის მაღაზიებში.**

რადგან ხშირად სხვები თავიანთ ცუდ საქონელს ჩვენად აღიარებენ, ფაბრიკა უმორჩილესად სთხოვს ბ-ნთ მყიდველებს ყურადღება მიაქციონ ფაბრიკის ნიშანს და სახელმწიფო გერბს (არწივს)

ФАБРИЧНОЕ КЛЕЙМО С.ПЕТЕРБУРГЪ

ნარდათ შეკვეთილ ამ ფეხსაცმელს ამზადებს

## სავაჭრო სახლი

# „ლეოპოლდ ნეიშელლერ“

ტელეფონი № 346, **ტფილისში,** ერევნის მოედანი,

**რომლის საწყობშიაც არის დიდი ძალი**

**ტყავის საქონელი** რუსეთისა და საზღვარ-გარედ დამზადებული. (100—33)

სტამბა „იდეალი“ (მ. დ. კიკნაძისა) ნიკოლოზის ქ. № 6